

თეატრი



№ 35

საყოველ-კვირთა ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

№ 35

მ. აბონტო

გამოიცემა ყოველ კვირას

1886 წელს.

ფასი გაზეთი „თეატრი“-სა ერთას წლით..... 5 მან. X სასუქარ წლით.... 3 მან. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქც. კონსტანტინე პოლიანოვისა და ანტონოვისა და სხვა ქადაგებისა. თუთში ბ-ნი ბესარიონ კვანდაცხთას.

ცალკე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ.

ასუიდება: **თბილისში**: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, შვედლოვის სააგენტო კონტორაში, ალიხანოვის პაპიროზის მაღაზიაში, ხიდის ყურთან. **ქუთაისში** კილაძეთ წიგნის მაღაზიაში და **ბათუმში** პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორექტივები, ლექსები და სხვა წერილი წერილები, თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორდებიან.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ ერთს თვეს. სტატიების უკან გაგზავნას რედაქცია არ ვისრულებს.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ სტატიები გარეგანი რევენ დაწერილნი.

ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галерея быв. Аринуи № 110.

რედაქციისგან.

ეს ნუმერი სხვა-და-სხვა მიზეზების გამო თქსმუტი გვერდის მაგიერ რვა გვერდად იბეჭდება.

თეატრის კვირა

საზრდო ესტეტიური, საზრდო ხორციელი, საზრდო სულიერი.—ახალი სეზონი.—ორი „მეზიუ“.—(რუმბიუნნი) კლუბი თავის ემბლემათ.—„Казанскій Биржевой ЛИСТОКЪ“-ის აზრი „Новое Время“-ზედ.— 2. დ. ბე—დეალი ერთგულებისა და ერთსულობისა.

როცა დღევანდელი ნომერი შენს წინ იქნება, ჩემო მკითხველო, მოიგონე, რომ ეს კვირა დღე ავვისტოს უკანასკნელი დღეა და ხვალ იწყება პირველი თვე შემოდგომისა, ენკენისთვე, თვე შრომისა და გარანისა და იწყება შრომის პირველი დღით, ორშუბათით. ეს თვე ჩვენის

„თეატრის“ რედაქცია საყოველთაოდ უცხადებს იმ ბ-ნი ხელის მომწერთ, რომელთაც მხოლოდ ოთხი მანეთი აქვთ შემოტანილი, კეთილ ინუბოან და დაუჩქარან დასაწიენი 2 მან. გამოგზავნას, რათა პირველას სექტემბრიდამ არ მოკსპოთ გაზეთის გაგზავნა. ახალი ხელის მომწერლებისათვის ცხეთა „თეატრი“ 1 სექტემბრსდამ წლას დამლკვამდე ღირს ორი მანეთი.



ერეკლევი
გენერალ-სენატი

თეატრის სეზონისათვის ახალი წელიწადია და ამისგამო როგორც ქართული თეატრისთვის, ისე ამ „თეატრისთვის“ განსაკუთრებით საუკუნადღებოა. პირველს ნაბიჯს უკველს საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს და მეტადრე თეატრის საქმეში. ჩვენის თეატრის მოყვარულები ამიტომ გულის კანკალით ელიან პირველს წარმოდგენებს, მით უფრო რომ ეს წარმოდგენები ფენიქსებრ განანლებულის სათეატრო კომიტეტის ხელმძღვანელობის ქვეშ იქნება. კომიტეტმა რევიზიზრობა და დასის ზედამხედველობა ჩააბარა ერთ-ერთს თავის წევრს. საადგილმამულო ბანკის თეატრიც კომიტეტსავით განანლებას აპირობს თურმე. თუმცა მომავალ სეზონისათვის ვერ მოუსწვრიათ მთელის თეატრის გადაკეთება და საპერმისოდ გადაუღვივით, მაგრამ სამაგიეროდ ამ გადაუკეთებელს თეატრს სწმენდენ, დებენ, ასუფთავებენ, რეკვიზიტს უმზადებენ, ასე რომ ამას იქით არტისტს იმის შიში აღარ ექნება, ჩამოჯდომის დროს, სკამის ფეხმა არ მიმტყუნოს და დედამიწაზედ არ გავიშლართოო, და პუბლიკის თვალწინაც ამას იქით ნამდვილი ფარდა იქნება ჩამოფარებული და არა ზოლ-ზოლად განსუბული კუბოს გადასაკრავი. მართალია, ეს დიდი ცვლილება არ არის და დაამზავა ბანკის გამგეობამ: რომ თეატრი აქამდის გადუკეთებული დაბგდო, მაგრამ ცოტასა ზედაც კმაყოფილ ვიყოთ და ბევრის ლოდინით ვინუკეშოთ.

თეატრს სწმენდენ, დებენ, ასუტაკებენ, ერთის სიტყვით „აპჩინკებენ“, მაგრამ თეატრის დასს „აპჩინკებენ“ თუ არა, ჯერ არაფერი შეგიტყვია. ამობენ ჯერ არტისტებთან პირობა არ შეუკრავთო. როდისღა? ხვალ ენკენისთვია 15-ს წარმოდგენები დაიწყება. ან როდებს მომზადება არ უნდა, ან პიესებს წაკითხვა? ამას საუვედურში ნურავინ ჩამოგვართმევს და მხოლოდ მეგობრულ რჩევად მიიღონ: საჭიროა, რომ ამას იქით არტისტებმა კარგად იცოდენ არა მარტო თავიანთი როლი, არამედ ის პიესაც, რომელსაც თამაშობენ. ამისათვის საჭიროა ორი სამი კვირის წინად წარმოდგენების დაწყებამდე არტისტებმა რამდენიმე პიესა საერთოდ წაიკითხონ და როდები ჩამოირიგონ, რომ სეზონის დაწყების დროს სამიოდ პიესა მანც მომზადებული ჰქონდეთ. უკველ საქმეში თავდარიგის დაჭერა კარგია და მეტადრე თეატრის საქმეში.

ესტეტიურ საზრდოზედ ხომ ვილაპარაკებთ და თავდარიგი დავიჭირეთ, ახლა ნორციელ საზრდოზედ ვილაპარაკოთ, მაგრამ ამაზედ ლაპარაკი დიდხანს არ დავჭირდება, რადგან ლიტერატორთა განსაკუთრებული წრე შემდგარა, რომელსაც მენიუების წერა აქვს მინდობილი. ხომ მოგეხსენებათ, რა არის მენიუ. მენიუ არის სია იმ საჭმელებისა, რომელთაც ერთის სადილის განმავლობაში უნდა თქვენი ჭირი წაიღონ, ანუ რაიმე ახალი ჭირი შეგძინონ (მუცლის სიმსივნე, გულჭიდება, გულზედ შემოწოლა, კატარი და მებრვე სხვა). ამ დღეებში გაზეთებში იყო დაბეჭდილი სია იმ საჭმელებისა და სასმელებისა, რომელნიც მიურთმევიანთ პირველ მინისტრებს ფრანცენსაბაში და უველა გაზეთებში გადაბეჭდილია. ამავე დღეებში თბილისის ბურდიუჩნი ანუ რუმბიუჩნი კლუბში გამართული იყო სადილი ერთის ჩვენის პროფესორის პატივსაცემლად. ღვთის—წყალობა გაქვთ ამ სადილზედ საჭმელებიც ბევრი გასაღდა და კახური ღვინოც ბევრი დაილია, მაგრამ საჭმელსა და სასმელზედ ნაკლებ არც სიტყვები გასაღებულა... ბოლოს დროს შემოდებულ მოდისამებრ—საჭმელზედაც, სასმელზედაც და სიტყვებზედაც ამ სადილზედ შესანიშნავი იყო ქართული და დაბეჭდილი მენიუ თავის კუპატებით, შემწვარი მწურებით და „მოსკოვიკით მაღინისა“ და თითონ მენიუზედ უფრო საუკუნადღებო იმის სათაურში ჩანატული ცხვარი, კალთი, უურძენი, გოგრა, კანწები, დოქი, თარი, ჩონგური და შუაგულში ერთი უმველებელი რუმბი, დაიდ რუმბი თავის პოჭოჭიკით, რუმბი იმ კლუბში, რომელმაც ერთი თავისი პატივცემული წევრი კინაღამ გამოირიცხა და აი 27 ამ თვეს თვით ამ კლუბის როტონდაში, თანდასწრებით მრავალთა ამ კლუბის წევრთა იმართება სადილი და სუფრაზე აქა იქა გამოჭიმულია ქართული მენიუ თავში რუმბით.

ეგრე, პატივცემულნი წევრნი კლუბისა-ნი. უბედურებას რომ კარიდამ გააგდებ, ფანჯრიდამ შემოგეჭრება. თქვენ ერთი აყალმაყალი ასტენეთ, მამასახლისების (სტარშინების) კრება ცალკე შეადგინეთ ამ საგნის განსახილავად და ის კი არა თუ ვერც კრებება, ვერც განსჯამ ვერა გიშველეს-რა.

ნუ იფიქრებთ, რომ ამკვირია მარტო სტომაქისა და თვალის დატკობაზე ვიზრუნეთ და



ქართული
ბიბლიოთეკა

სხვა არაფერზე. სცდებით, ერთი სტრიქონი არ გამოვა ქართულს ენაზედ დაბეჭდილი, რომ თქვენმა უმორჩილესმა მოსამსახურემ არ გადაიკითხოს. ვეძებ სულიერ საზრდოს „ივერიაში“ „მწყემსშიც“, ბ. ანტ. ფურცელაძის თხზულებათა პირველის — ტომის პირველ ნაწილშიაც, ბ. ზ. ჭიჭინაძის გამოცემებშიაც და უმადურობა იქნება რომ ვსთქვა ამ საზრდოს ვერა ვპოულობ მეტი. „ივერიაში“ მაგალითად (№ 115) მონარკვევეს ნარკვევში ვპოულობ, რა აზრისა არის Казанский Виржевой Листок „Новое Время“-ზედ. ნუ კი გვერუმრებით: ჰხედავთ მდიდარი რედაქცია გვაქვს, — „Казанский Виржевой Листок“-იც კი მოსდის. თუმცა ფოსტაში ასე გვითხრეს: მაგისტანა გაზეთი არც გაგვიგონია და არც მოდის თბილისშიო, მაგრამ ფოსტის მოხელემ რა იცის — „ივერიის“ მონარკვევეს უფრო არ დაეჯერება!

„ივერიის“ რომ თავი დავანებოთ, „მწყემსსაც“ შეუძლიან სულიერის საზრდოს მოცემა მათთვის... ვინც მ. დ—ის სულიერ საზრდოს საჭიროობენ — ამბობენ ჩვენში ამისთანებიც არიანო. ამ უკანასკნელ გატეგორიის ხალხს ვურჩევთ წაიკითხონ უკანასკნელი (№ 23) ნომერი ამ გაზეთისა, სადაც საკმაოდ იპოვიან იმისთანა საზრდოს, რომელსაც ხორციელად მათი ცაფუფუნება შეუძლიან და დანარჩენი კი იმისთანა კუნჭულში ჩაგეტა, სადაც კაი დაგეშილი მეძებრებითაც ვერ იპოვით. რა გაეწყობა, ცხოვრება გაძნელდა, გაძვირდა და მ. დ—მეც დარწმუნებულა რომ კარაბადინის გამომცემლობას „მწყემს-პასტორის“ რედაქტორობა ჯობნებულა.

ხელოვნური პოეზია

უდარდელო დღე.

შოკს, დარდებს! შოკს! — ნუ მომეკარებთ: დღეს მე გვჯობნით, დღეს ვერ მომკლავთ წვალებით!... მიყვარს ღვინო, მიყვარს ძმებთან სიმღერა, ბანათი, ტკბილად თარის სიმთ უღერა; მიყვარს ღვინო, კუდით მისი რაკ-რაკი, ყელთან მისი ჭიკ-ჭიკი ღაპანაკი მიყვარს, ძმებო, უსკად ღვინო და ჰუჭი, ზუჭნა, დაფი, ღვინი მამა-პაპუჩი;

მიყვარს სატრფო, მიყვარს მისი მე ტყუარა ჩუმი, ტკბილი მისთვის ამ გულის ძეგრა!... დღეს ღვინში ვარ, მე დღეს დღე მაქვს ამკვარი — ვარ ყოველგვარ დაშაქრული, დამტკბარი... შოკს, დარდებს! შოკს! — ნუ მომეკარებთ! დღეს მე გვჯობნით, დღეს ვერ მომკლავთ წვალებით!..

გ. თირეღი.

ჭმუნვის მახვილის ხმაზე

წათ მინდა წუა
მე სულ კოდილსა;
მდეგის უწყელო
მე ბედის წუა.

გუფსა მიძეფათავს,
სუფსა მისუთავს
სსკისი იმედი
და სსკისი მღერა.

მხოლდ ეს მჭუნა,
რომ სულ მოთმუნა
თითქოს კანონით
მე დამეწუნა.

კნენა ნინო ორბელიანისა.

მოთხრობანი

ბედნიერი ცოლ-ქმარი
(მოთხრობა გიუი დე მოპასსანისა)

ყველანი შეჭხაროდენ იმათ ბედნიერებას. ქმარი დილიდამ სალამომდე განუწყვეტლივ მუშაობდა ერთ-ერთს პარიზის ადმინისტრატულ განყოფილებაში, ამასთანავე საუცხოვო ხასიათისა იყო, მშვიდე, მორცხვი, მოსიყვარულე გულის პატრონი. დიან, ლანტენი საუცხოვო კაცი იყო. როცა 30 წლის შეიქმნა, ლანტენმა ცოლად შეირთო მშვენიერი ქალი, პატოსანის ოჯახიდან. ლანტენის ამხანაგები შურის და ხარბის თვალებით უყურებდნენ ლანტენის ბედნიერებას. ან როგორ არ უნდა დახარბებოდათ? ლანტენის მეუღლე, ჟანა სწორედ ანგელოზს ჰგვანდა, როგორც სილამაზით აგრეთვე ხასიათით. ჩილი, კეკლუცი, საქმის მოყვარე, ჟანა სრულს ბედნიერებას შეადგენდა თავისი ქმრისათვის. ქმრის ორიოდე გროშიდან, რომელიც ჯამაგირად ეძლეოდა ლანტენს ადმინისტრა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციულ სამსახურში, ჟანამ თითქმის მთელი ქონება შეადგინა. მათი სადგომი მშვენიერად მართული იყო, სადილზედ ყოველთვის სამი, ოთხი ნაირი საქმელები ჰქონდათ... და მერე არც ერთი გროში ვალი, არც ერთი კოეზი მეზობლისაგან ნათხოვარი!... საკვირველი იყო, როგორ ახერხებდა მშვენიერი ჟანა ყოველსფრის ასე იაფად ყიდვას, ასე ადვილად შონენასა? ცოლი თავის დღეში არ აწუხებდა ქმარს ანგარიშებით და სხვა წერილმანი თხოვნით... ჟანა ყოველთვის კობხად იყო ჩაცმული. საშინლად უყვარდა ჟანას აგრეთვე თეატრი და განსაკუთრებით ოპერები... მაგრამ ქმარი დაღლილი შრომით, იშვიათად მიჰყვებოდა ცოლს თეატრალურ წარმოდგენებზე... ბოლოს სრულობით თავი დაანება ლანტენმა თეატრში სიარულს, რადგან მის მშვენიერს ცოლს ერთი ძველი მეგობარი ქალი გამოუჩნდა, რომელთან ერთად დადიოდა სხვა-და-სხვა სასეირნო ადგილებში, და თეატრში ხომ განსაკუთრებით. რა ბედნიერად გრძნობდა თავის თავს ლანტენი, როდესაც მისი ცოლი ბრუნდებოდა თეატრიდან ღამის ორს ან სამს საათზედ, კვლუცად მორთული, ღამაში, მხიარული, ღოყები აწითლებული!.. ცოლი ისე ეალერსებოდა ქმარს, თითქოხ ბოდის ითხოვდა, რომ ამდენს ხანს მარტოდ დასტოვა ქმარი. ამდენ სიკეთესთან მშვენიერს ჟანას ერთი პატარა ნაკლი ჰქონდა—ეს იყო სიყვარული, გაგიჟებამდინ სიყვარული სხვა-და-სხვა ძვირფას ქვებისადმი; თვალი, მარგალიტი, იაგუნდი და ზურმუხტი ჟანას აგიჟებდნენ. ქმარი ხშირად დასცინოდა თავის ცოლს, როცა დაინახავდა მისს კისერზედ, ან ყურებზედ ყალბი ქვისაგან ძიებს და საყურეებს: «ჩემო კარგო, რათ იფუკებ სილამაზეს მაგ ყალბის ქვებით, მაგით ხომ ვერავის მოატყუებ გარდა შენის თავის მეტსა!». მაგრამ ამ შენიშენაზე ჟანა ისე მომხიბლავად გაიღებდა ხოლმე, რომ ლანტენს ერთი სკიერი ძიები და სხვა რამ სამკაულები რომ ჰქონოდა ყველას გულ-მკერზედ და კისერზედ ჩამოკიდებდა თავის მშვენიერს ერთგულს ცოლს..

ასე, ამ ბედნიერებაში გაატარეს ცოლ-ქმრობა მთელი ექვი წელიწადი არც ერთს უსიამოვნებას, არც ერთს მცირე რამ შენიშენას არ მოუღრუბლავს მათი ექვსი წლის ცოლ-ქმრობა! მერე რა ნაირად უყვარდა ლანტენს თავისი მშვენიერი ცოლი! მთელს სიცოცხლეს შესწირავდა იმას, ოღონდ არაფერი დაჰკლებოდა ჟანას არაფერს მეწუხებნა იგი... მაგრამ ერთხელ ჟანა არა ჩვეულებრივ გვიან დაბრუნდა შინგზაში გაცივებულა, ხველა დააწყებინა და ორის კვირის შემდეგ მშვენიერი ჟანა კლექისაგან გარდა-

იცვალა. საცოდავი ლანტენი თავს ვეღვალა ცოლის სიკვდილთან ქმარს ყოველთვე დაეხმარა. იმას ვერც სახლს მოუარა, ვერც თავის თავს და მალე, ძალიან მალე გაიხლართა ვალებში, თუმცა მარტო ხელი კაცი იყო... ლანტენს ჯამაგირი არ ჰყოფნიდა და ამიტომ ფულის შოვნას შეუდგა... მაგრამ ფულის შოვნა ადვილი ხომ არ არის... ლანტენი ნელ-ნელა შეუდგა ზოგიერთი სახლის მოწყობილების და მორთულობის ყიდვას, მერე ამას მოჰყვა ცოლის კაბები, ესენი რომ გათავდა და სხვა აღარაფერი დარჩა, მაშინ მოაგონდა, რომ ცოლს ბევრი ყალბი ნივთები ჰქონდა, გააღო შკაფების უჯრები. ამოიღო ზოგიერთი «ნივთებთაგანი» და გაემგზავრა დაღალთან, იქნება თვითო-ოროლა მანეთად მინც არის გაყვიდოო.

— იქნება იყიდოთ აი ეს სამკაულები, ჰკითხა ლანტენმა ერთს მეწვრილმანეს, მეწვრილმანემ დაინახა თუ არა ეს „სამკაულები“ თვალეხი სინარულის ცეცხლით აემსო. დიდ ხანს უყურებდა, ბევრს ათვალეყვებდა, ხან სინათლესკენ მიიტანდა, ხან გადააბრუნებდა და ბოლოს უთხრა:

— მე შემძლიან ამაში 16000 მანეთი მოგცეთ, თუ მართლა მოპარული არ არის და თქვენი საკუთრებას შეაოგენს! ლანტენი განცვიფრდა: როგორ თუ 16000 მანეთი, ხომ არ გაგიჟდა ეს დაღალი, გაიფიქრა ლანტენმა და გიჟსავით გამოვარდა გარეთ. დიდხანს დადიოდა ლანტენი ქუჩა-ქუჩა და ვერ აუხსნია, როგორ აძლია დაღალმა ამდენი ფული. ბოლოს გადაწყვიტა შესვლა გამოჩენილ ოქრო მკედელთან, რომელიც მაგისთანა სამკაულებს ყოველ წლივ უკანასქნელ ნახევარ მილიონზე მეტს ჰყიდდა. ოქრო-მკედელმა გამოართვა „სამკაულები“ და მხიარულად წამოიძახა:

— ეს ნივთები ჩემთან არის ნაყიდი! დიან ჩემო კეთილო, ეს თვალეხი, ეს მარგალიტები მეტად ძვირფასია... მე ეხლაც კარგათ მახსოვს როდის გავყიდე ესენი... ერთი ძალიან ღამაში ქალისათვის იყო ნაყიდი. გვარი კი დამავიწყდა...

— ვისთვის, რომელი ქალისათვის? წაიბუტბუბუტა საცოდავმა ქმარმა.

— თუ გონება არ მლატობს, ვგონებ ქალი ლანტენისათვის, მაგრამ საკვირველი ის არის თქვენს საიდან ჩავივარდათ ხელში? ლანტენი სირცხვილით დაიწო.

— ის ქალი ჩემი ცოლი იყო, რალაც ძალ-დატანებით მიუგო ლანტენმა, დიან, ბატონო ის ქალი ჩემი ცოლი იყო ნახევარი წელიწადია რაც გარდაიცვალა.



— ოჰ, მაშ თქვენ იმისი მემკვიდრე ბრძანდებით? ჰკითხა ოქრომკვდელმა რილაკ ეშმაკურის ლიმილით. დახლიდრებმა დაცინივით შეჰხედეს საცოდავს ქმარს....

— რამდენი შეგიძლიანთ მომცეთ თქვენ ამ ნივთებში? გაბედა ბოლოს ლანტენმა.

— ეს ნივთები ღირან 30,000, მე შემიძლიან მოგცეთ 25000 მანეთი, ხოლო ერთის პირობით, თქვენ უნდა დამიმტკიცოთ, რომ სწორედ ლანტენის ქმარი ხართ. ლანტენი გაყვითლდა, მაგრამ მანაც ამოიღო ჯიბიდან თავის კარტოჩკა,

— აი ბატონო ჩემი ადრესი, სახელი და გვარი.

— დიახ, სწორედ ეს ადრესია, მიუგო ოქრომკვდელმა. თქვენ ესლავე მიიღებთ 25000 მანეთს და გადასცა კიდევ ხსენებული ფულები.

ლანტენმა გამოართვა ფულები, მაგრამ ვაი ამისთანა გამოართმევას. ფულები ხელებს სწვამდენ. ლანტენი გაუიდა, მაგრამ ცოტას ხნის შემდეგ ისევ შემოვიდა და უთხრა ოქრომკვდელს.

— მე ბევრი ნივთები მაქვს... კიდევ იმ წყაროებიდან... იქნება გსურთ იყიდოთ?

— დიდის სიამოვნებით!

— მაშ ხვალ შემოვიტანთ.

— და აი მეორე დღეს ლანტენმა წაიღო გასასყიდათ ყველა «ყაღბი ნივთები, უბრალო სამკაულები», რომლებსათვის ოქრომკვდელმა მისცა 200,000 მანეთი... ლანტენს ხელები უკანკალებდა, როცა ამ ფულების დათვლას შეუდგა... მაგრამ თქვენ გგონიათ, რომ ამის მიზეზი მარცხოა, ან ცოლის ღალატი იყო? არა ამისთანა გრძობას ლანტენის გულში ადგილი არ ჰქონია, იგი ხარობდა რომ ესლა გამდიდრებული იყო, მთელი ქვეყანა ფეხებზედ ეკიდა ქუჩებში ისე იყურებოდა, თითქოს მთელი ქვეყნის მპყრობელი ყოფილიყო. ლანტენი შევიდა ერთს მშვენიერს სასტუმროში, მოითხოვა სადილი და კარგათაგ ვადაჰკრა, ბიჭს 5 მანეთი აჩუქა... ოთხი წლის განმავლობაში ლანტენი ისე ატარებდა დროებას, როგორც ერთი ვინმე მდიდარი გრაფი ან ბარონი... ბოლოს როცა ცხოვრებამ, დიაცებმა სმამ ჰამამ და ქეიფმა თავი მოაბეზრა და თანაც მოქანცა, ლანტენმა ცოლის ძებნა დაიწყო, თუმც ორმოცი წელმა ბედგრად ჩაუკაკუნა კისერში. დიახ ლანტენმა შეირთო ცოლი, ხოლო ცოლი მისი არ იყო «მშვენიერი» «გულ-ჩვილი» «კეკლუცი» არამედ მახინჯი და კაპასი ჯოჯოხეთივით... დიახ ასეთ ცოლთან ლანტენს შეეძლო მშვიდობიანათ დაეღივა თავისი სიცოცხლე და არ შეერცხვე-

ნა თავისი პატიოსნება. დღეის იქეთ ცოლ-ქმარის კავშირს არავითარი ჩირქი არ მოეცებოდა!

ციპლოვი.

სახლსურია პოეზია

გამოსაფხულაის პირზედა შესჰმა დაიწყო გალობა, მე ხომ დამწვი და დამდაგე—დაიწოს შენი ქალობა.

ნეტავ ქალო, შენმა ქმარმა გულში დანს დამცეს მეო, წაუიდას და გადავარდას—შენი თავი დამჩხე მეო.

ქალო, კრულო! გეხვეწები-წელიწადი გამოსულა, ხეს ფურცელი გასცვიფრია, ხელმეორედ გამოსულა.

ქალო ნეტავი შენი ხმა ავთმყოფს გამკონს მე; აქიმათ შეხვე გამინდი • შენს ახლას დამაგონს მე.

ქალო სთქვა, ახალ გაზდასა სიცილით შეკუპარები, შორიდგან დაგწამ, დაგდაგამ—ახლას არ მიეკარები

წუთი სოფელმა დღე ჩემი სიმწრით დამაღვეინა, ანც მომკლა, ანც მომარჩინა, ანც სული დამაღვეინა.

შენ ქალო ამპარტაყანო, რომელი ხელთა პირი ხარ, უკვდავების წამალი გაქვს და არ მასმეკ-მეიჩი ხარ.

(გაგონილი და შეკრებილი ზემო ქართლში კენინა ნასტანია ამირაჯიბისაგან.)

(გაგონილი და შეკრებილი ლ. დოლაჯიბისაგან)

ქალო, ქალო კისკისაო, წამოდგები წყლის პარსაო, ბიჭები ჩამოივლიან, დაგივარცხენ თვალ პირსაო.

წყალი წავა და წამოა, ქვიშანი დარჩებიანო, ობლები დაიხდებიან—მამულზედ დარჩებიანო.

წყალ გაღვიე ქალო დამაზმა ჩიქილას დამიქნიაო,

თეატრული
წიგნობა

ის იქით—მოკლად სურვილმა—
მე იქით—წამსქციათ.

(გაგონილი ს. რიუსში ი. დავითაშვილსაგან)

გორში ჩაველ ჩირი ვსჭამე,
რუსისძია ატამიო,
ლემს გოგოს შეუგარი
ხარატული აკანია.

ნეტავი შესა დღასა
შენ გაუხრდები შეილათა,
არ გინდა პირის დახანა,
არც წარბის ღება სშირათა

ზოგიერთმა ვაცმა იცის,
გამღება და გაგორდება,
რაკინდა მძღარიც რომ იყვეს,
მაინც მჭადი აგონდება.

გაგონილი სოფელი აბგში.
(შეკრეფილი ზაყელისაგან)

ისე არ დაბუბრებულვარ,
რომ ვერ დაგცვიოთ წაღებო,
მაინც რა გემრეული ხარ
ვარგო ვამეზის ნაღებო!

თეატრი და მუსიკა

გბეჭდავთ სიას იმ პიესებისას, რომელნიც ნე-
ბა დართულნი არიან ქართულის სცენაზედ
წარმოსადგენად.

РАЗРЪШЕННЫЕ КАВКАЗ. ЦЕНЗУРНЫМЪ КО- МИТЕТОМЪ ПЬЕСА НА ГРУЗИНСКИХЪ СЦЕНАХЪ

Въ 188 з.

- 1 Кинто—კინტო, კომ. въ 3-хъ дѣйств., соч. Акакія Церетели.
- 2 Я человекъ и ношу шапку—კაცი ვარ და ქელი მხურავს, კომ. въ 3-хъ дѣйств., соч. Ив. Вачнадзе.
- 3 Дочь семейства—ოჯახის ასული, драма 3-хъ дѣйств., соч. Георгія Церетели.

- 4 Разбойники—აეზაკნი, трагедია въ 5-ти дѣйств., соч. А. Пурцеладзе.
- 5 Кошку свѣсимъ—კატა აეწონოთ, კომ. въ 2-хъ дѣйств., соч. Д. Хუცесова.
- 6 Адвокаты—ადვოკატები, კომ. въ 3-хъ дѣйств., соч. кн. Рафаэля Эристова.
- 7 Все основано на счастіи—ყველაფერი ბედზედ არის. კომ.—вод., соч. А. Казбека.
- 8 Подруга жизни—ცხოვრების თანამოგზაური, კომ. въ 4-хъ дѣйств., перед. А. Казбека.
- 9 У кого пловъ, а у кого апетитъ—ფლავი ვის უღვას და იშტა ვის აქვს, კომ. въ 3-хъ дѣйств., соч. А. Тутаева.
- 10 Вотъ тебѣ и сватавство—ესეც შენი მოციქულობა ინუ ზაკუსკა სადილიდა ვანზაში, соч. Теръ-Григоріанца, კომ.—вод. въ одномъ дѣйствіи.
- 11 Потеряли женъ—ცოლები დავკარგეთ, трагედი—კომедია въ 2-хъ дѣйств., соч. А. Гарсევანова.

Въ 1881 году.


- 12 Разстроенное семейство и испорченная жизнь—დანგრეული ოჯახი და წამხდარი ცხოვრება, კომ. въ 3-хъ дѣйств., соч. Ив. Кереселидзе.

Въ 1882 году.

- 13 Мать убійца сына—დედა შვილის მკვლელი, трагедია въ 4-хъ дѣйств., 9 карт., составилъ А. Степаніанцъ.

Въ 1883 году.

- 14 Сурамская крѣпость—სურამის ციხე, драма въ 5-ти дѣйств., 4 карт., соч. Дав. Чонкадзе, (съ исключеніями).
- 15 Ханума—ხანუმა, კომ. въ 3-хъ дѣйств., 4 карт., соч. Авксентія Цагарели, (съ исключеніями).
- 16 Вахушти, грузинскій полководецъ или добродѣтель женщины—საქართველოს სპასალარი ანუ ქალის სათნობა, драма въ 5-ти дѣйств., соч. Коте Бишანი, (съ исключеніями).
- 17 Свадьба Бречинскаго—კრეშინსკის ქორწილი, კომ. въ 2-хъ дѣйств., перев. Андрея Гуладзе.
- 18 Плутовство—თვალთმაქცობა, კომ. въ 2-хъ дѣйств., передѣლ. съ франц. (Дѣйств. первое).
- 19 Плутовство, Раинды—თვალთმაქცობა, რაინდი, (Дѣйств. второе), драма.



- 20 Вагратъ IV—ბაგრატ IV, драма 4-ხე დეჟისტ.,
пер. Константина Месхи.
- 21 Геркулесъ—ღერკულესი, штука—водевиль
въ одномъ дѣйствіи, пер. Мих. Зубалова.
- 22 Гамлетъ—ღამლეტი, перев. Антона Пур-
целадзе.
- 23 Лакомый кусочекъ—გემრიელი ლუკმა, пе-
ред. кн. Дав. Эристова
- 24 Рыцарь безъ страха и упрека—რანდი
უმშიარი და გულმაგარი.
- 25 Званный вечеръ съ Итальянцами—მეჯლი-
ში იტალიანური მომღერლებით.
- 26 Между двухъ огней—ორ ცეცხლ შუა,
персв. съ французскаго кн. Ив. Мачабели.
(გაგრაქლეზა.)

ს ც ე ნ ე ბ ი

ერთი აქაური ქარვასლეელი ნოქარი (პრიკაშიკი,) როგორც თვითონ ამბობდა «ზორბათ» შეყვარებულა ერთს მშვენიერს ქალში გაივლიდა თუ არა „სულის იაღონმა“ ღუქნის წინ, პრიკაშიკს სიყვარულის ცეცხლი თავბრუს ასხამდა. ამხანაგებმა გაუგეს ეს „სეკრეტი“ და ხშირად ჰკითხამდენ ხოლმე.

— ჰა პეტრუზ, სიყვარულის ნიშადური მოგეცხო? ბიჭო ვინ შენ ვინ მოსწაფლე ვინ ერეკლე, ვინ თოროზანთ თეკლე!... ტუტუც, პეტრუზ, ტუტუც!..

— ახ ვი მუტრუკ, მიუგებდა ხოლმე პეტრუზა, ვირმა რა იცის ხურმა რა ხილია!..

ერთხელ იმ ქალს ქარვასლაში საქმე გაუჩნდა და რაღაც შემთხვევით პეტრუზას ღუქანს მიადგა. საწყალი პეტრუზა სინარულით კინაღამ დაიღრჩო.

— იესტ უფას როზუია ლენტა? ჰკითხა „სულის იაღონმა.“

— ახ, ესტ! ამოიოხრა პეტრუზამ და უჩვენა კიდეც, ინებეთ!

- არშინი რა ღირს?
- ახ, არაფერი ღირს!.. ახ!
- ჩტო სვამი გაკვირებია ჰკითხავს ქალი.
- ახ ნუ მკითხავთ!..
- პაჩომ არშინ?
- ახ, ნიპოჩომ, ახ!
- ახ, ახ!.. ქალი გაოცებულა.
- ტაკ პაჩომ არშინ?
- ახ, ნიპოჩომ!
- კაკ ნი პოჩომ?!

— ტაკ ღუმა მოია! სკაყი ლუბლუ, ცეცხლი ლაკა დარიტ ბუდუ!

— ვოტ ღურაკ! ქალი გაჯარებული მიღის.

— ბარიშა, ბარინა! პაქალტე სუდა, უნას ღოშოვა! მოღით ინებეთ, მიირთვით!.. ყვირიინ დალიდრები, მაგრამ ქალი გიქისავით გარბის. ჩამოვარდა სიჩუმე.

— ჰა, პეტრუზ! ჰკითხავს მეზობელი დახლიდარი, ხომ, „სეიდანიე“ არ დაგინიშნა ევროპის ბალში, ჰა?

— მაშ, მაშ, დასცინის მეორე.

— კტო ღურაკ? ხმა მალლა ყვირის მესამე.

— პეტრუზ!! ერთათ იმეორებენ დანარჩენები.

ართვითიკული გამოცანა

ორმა კაცმა აღიღო სე ტარებით ათი ჩაფი ღვინო შეკრბა, მოიტანეს ეს ათ ჩაფიანი სავსე ტიკში და ახლა უნდათ რომ გაიყონ. სსვა ჭურჭელი ვერა იშოკეს და გარდა ერთის სამ ჩაფიანი და მეორე-შვიდ-ჩაფიანი ტიკებისა. ამ სამი ტიკის შემწეობით—10, 7 და 3 ჩაფიანებისა როგორ უნდა გაიყონ. იმათ ღვინო, რომ ერთავ უეჭველად სუთ-სუთი ჩაფი ერგოთ?

სიტყვების გამოცანა.

I გარეული ნადირის სსხელს მიუმეტეთ ნიშანი მრავლობითი რიცხვისა ეველას ეს შეადგენს წერა კითხვის სსჭირო მასადას.

II რუსეთის სამხრეთ-აზიაში მდინარის ნსხეკარ სსხელს მიუმეტეთ შინაური ცხოველის სსხელ-წოდება, სოლო უკანსსხეული ასო ამ სსხელწოდებისა შესცვალეთ მეორე სმოგანი ასოთი: ეველას ეს შეადგენს ერთს ფრინველის სსხელს, რომელიც განსაკუთრებით აფრიკაში იმყოფება.

III ერთ-გვარ გვარ-ტომის სსხელწოდებას მიუმეტეთ წინ უხმო ასო. ეველას ეს შეადგენს ჩვენი ქვეყნის ერთის ვუთხის სსხელს.—

ასსნა სიტყვის გამოცანისა.

- I ადამ—აანი—ადამიანი.
- II კატ (ა)ო—გან (ო) ა—ევის კატო—გაბაევისა გამოცანეს სანდრო და ლიზამ, პეტო ბეგ—, ილიკო დ—შვილმა და მათიკო.



გ ა ს ა რ თ ი ბ ი

ერთ საღამოს დიდ-ძალი ხალხი დასერილობდა ქუთაისის ბაღში, რომელსაც «ბუღჯარი» ეწოდება სახელად. ერთმა დაწინაურებულმა აზნაურმა ა—ბ გ—ქმ ჩამოისერნა ერთ ბაღის კედელზე. (მისი იუსტის ახალი წაღები საკმარისად გაღობდენ).

ამ დროს ერთმა სკამზედ მჯდომმა თავადმა ი—ბ წ—მ დაუძახა გამკვლელ დაწინაურებს:

—ოჰ! რა უბედურება გიჭყავის და გიჭრებიანებს ფეხებშია? ღმერთთან იცის—გული და სული წაგვარეთი და უნდა სადმე გადავიკარგოთო....

შე დაღვრილა!—მიუგო დაწინაურებულმა აზნაურმა—შენ რამიტყდა-ათი წელიწადზე მეტია, რაც თავში გიჭყავის და გიჭრებიანებს და ანაჲინ დაკარგულა და ჩემმა წაღების რამა დაკენესამ, როგორ უნდა გადაგვარგოსთა!—

თორელი.

კახეთში იყო ერთი სუმარა. ეს კაცი იყო ნასწავლი და ყოველი ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგი. ერთხელ სოფელ შილადაში, მღვთის მშობლის კბკლესიის დღეობის დღეს, სხვათა ხალხთა შორის სუმარა იყო, მან თვალი შეასწრო ერთს ღედა კაცს, რომელიც ბობლვით, ოთხზედ გასს უკვლიდა კბკლესიას, გაქვანა და იმ ღედა-კაცს ზურგზედ შეაჯდა. ღედა-კაცმა მოითხოვა ვიერილი: შეილა! რას ჩადინარა?!

— შენ რაღას სჩადინარა, ჭკითხა მან

— მე, შეილა, შეთქმული მაქვსო.

— ჭო და მეც შეთქმული მაქვსო, გაისუმრა და გადმოხტა კიდეც.

მათიო.

რუკის პირველი ტენორი სწორედ წარმოდგენის საღამოთი ავად გახდა, მისი როლი მეორე ტენორს მიახდა. დაიწყო წარმოდგენა; არტისტი მღერის, ხალხი უმტკუნს ამ კვარტა ხალხის მიღებამ ანაჲითარ გავლენა არტისტზეარ იქონია, მივიდა ორკესტრთან და თქვა... «ჩუმი ხმა არ მოგეწონათ?... იქნება გგონიათ, იმისთანა სულელივარ, რომ 800 მანეთად წელიწადში 20000 მანეთიანის სმით გიმღერებდითო?»!..

ერთი ახალ-გაზდა, თავ-მომწონე გჭყავის. ჩემი მამა ერთ ბუღჯარაში მათარით და უფრუმოდლით, ბუღჯარაში წინა-უკან შემოახვია ფაღასკა, შუა-ტანის ნაწილი. შეიზღუდა თაღა—ბურით, ჩაირჭო სატკეარი და ფიშტო, მოახტა გასუქებულს იაბოს და მიბინდების დროს გასწია ობაზე. მოედანზედ, სადაც ჩვეულებრივი თამაშა იყო გამართული, ხალხი ბურხანკალივით ირგოდა. ერთს ადგილას რამოდენიმე ქალებს თავი მოეყარათ, ქალების დანახვაზედ გურუღმა მარჯვით სტელიცა მათრახი ცხენს, გახურებული ცხენი მარდათ გაუხტა და მხედარი ძირს ჩამოაგდო.

ამ მოულოდნელ შემთხვევით თავ-ზარ-დაცემული გურუღი ცქვიტათ წამოხტა და მიადახა მიმქროლს მერანს:

— ბრანწი! მე, მანინ ჩამოხტომას მინდოდა!.....

ივლიანე სენაველი.

რედაქტორ-გამომცემლის მადეერი ვაღერიან გუნია
გ ა ნ ც ხ ა დ ე ზ ა ნ ი

გასწავლი ფრანგულს ენას ქართულის საშუალებით. საკლასო რეპეტიციონებსაც ავიღებ. ვეტრე მირიანაშვილი ადრესი „თეატრის“ რედაქციონში.

ობქლება და სექტუბრის პირველს რიცხვებში გამოვა, — „ქართული წერის დედანი“
გ. გაბიჩაძისა.

(გამოცემა ი. მურადოვისა)
წერის დედანს შეადგენს: 1 მსხვილი გადაუბეღელი ხელი ბადეში თავის ელემენტებით; 2 დანატარაკებული საშუალო მგრეკალი ხელი უბადოდ ოთხს ხაზში; 3, გადაბმული სწორედ (აღმაცურად) ხაწერი ნუსხური ხელი სამს ხაზში და 4 გადახრილი (наклонный) გაკრული ნუსხური ხელი ბადეში—ჯერ გადაუბეღლად და შემდეგ სამს ხაზში გადაბმით.—დედანს აქვს სულ 24 გვერდი. დედანის ფასი—30 კაპ. ვინც ოცდა-ათსანე მეტს იყიდის გუკმ. დაეთობა 24 კაპ. (3—1)